

ძალადობის ფაქტების გაშუქება სამაუწყებლო მედიაში

თამარ გაგნაშვილი

ფაკულტეტი/პროგრამა: მედია კვლევები/მედია ეთიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კინწურაშვილი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სარჩევი

შესავალი.....	2
თავი 1. მედია რეგულაციები ძალადობის საკითხების გაშუქებისას.....	3
თავი 2. მონიტორინგის შედეგები	
კვლევის მეთოდოლოგია.....	11
მონიტორინგის შედეგები - ზოგადი მიმოხილვა.....	13
კონკრეტული დარღვევის ფაქტები ტელე-არხების რეპორტაჟების მიხედვით.....	14
• რუსთავი 2 -კურიერი.....	14
• საზოგადოებრივი მაუწყებელი - მოამბე.....	16
• იმედი - ქრონიკა.....	17
დასკვნა.....	19
ბიბლიოგრაფია.....	20

შესავალი

2014 წელს საქართველოში ძალადობის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. შინაგანსაქმეთაშინისტროსოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის იანვრიდან ივნისამდე ოჯახში ფსიქოლოგიური ძალადობის 122 ფაქტი დაფიქსირდა. ფიზიკური ძალადობის - 77, ეკონომიკური - 12, იძულება - 19, სექსუალური - 1 და სხვა - 1. შესაბამისად, გაიზარდა საზოგადოებრივი ინტერესი აღნიშნული პრობლემის მიმართ. მედია აქტიურად აშუქებდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომხდარ ძალადობის შემთხვევებს, მათ შორის ყველაზე ხშირად შუქდებოდა ოჯახში ძალადობის ფაქტები. არაერთი კვლევა მიემდგინა ძალადობას - როგორც პრობლემას, მასში ჩართულ მხარეებს, მის განმაპირობებელ ფაქტორებს/ინსტიტუტებს და ა.შ. ამ საკითხის კვლევა ყველაზე მწვავედ გენდერის კუთხით მიმდინარეობდა, ვინაიდან ძალადობის მსხვერპლი უმეტეს შემთხვევაში ქალი იყო. მიუხედავად ამისა, დღემდე არ ჩატარებულა არცერთი კვლევა, რომელიც შეისწავლიდა მედიის მიერ 2014 წელს გაშუქებულ ძალადობის შემთხვევებს და გაშუქების შესაბამისობას რეგულაციებთან.

ძალადობის ფაქტის გაშუქებისას ორი მთავარი კითხვა შეიძლება დაისვას:

1. წარმოჩენილია თუ არა ძალადობის ფაქტი როგორც ანტიცოსიალური ქმედება? (პრობლემის შინაარსობრივი მხარე)
2. დაცულია თუ არა მედია-რეგულაციები ძალადობასთან დაკავშირებული საკითხის გაშუქებისას (ტექნიკური მხარე).

წინამდებარე ნაშრომის საკვლევ კითხვას ამ შემთხვევაში მეორე საკითხი წარმოადგენს. კვლევის მიზანია მონიტორინგის საშუალებით შეისწავლოს 2014 წელს გაშუქებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ძალადობის შემთხვევები და გააანალიზოს მათი გაშუქების შესაბამისობა კოდექსით წაყენებულ მოთხოვნებთან/წესებთან.

თავი 1. მედია რეგულაციები ძალადობის საკითხების გაშუქებისას

ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას შესაძლებელია დაირღვეს კანონით გათვალისწინებული (საქართველოს კანონმდებლობა, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი) არა ერთი, არამედ რამოდენიმე მუხლი. აღნიშნულ თემაზე მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა და არასრულწლოვანთა უფლებების დაცვას. ძალადობის გაშუქების მიმართ წაყენებული რეგულაციები, ძირითადად ამ ორი პუნქტის დაცვას ეხება.

როგორც „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“, ასევე „საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსში“ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის ცალკე მუხლი, რომელიც მაუწყებლებს აცნობს ყველა იმ წესს, რომელთა დარღვევა პროფესიულ და ეთიკურ ნორმებს ეწინააღმდეგება. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობს ყველა ადამიანი განურჩევლად სქესისა, ასაკისა, ორიენტაციისა, რელიგიური თუ ეთნიკური წარმომავლობისა, სოციალური სტატუსისა და ა.შ. ახალ ამბავზე ან გადაცემაზე მუშაობისას შესაძლებელია ამბის გაშუქების სურვილმა დაჩრდილოს და ხელყოს რესპონდენტის პირადი ცხოვრება. ამიტომ ჟურნალისტები და მაუწყებლები ვალდებული არიან დაიცვან არსებული რეგულაციები ნებისმიერ საკითხზე მუშაობისას. *„პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მუხლის“* მიხედვით, ძალადობის ფაქტის გაშუქებისას მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს როგორც ძალადობის მსხვერპლის, ასევე მოძალადის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და არ მოახდინოს მათი იდენტიფიცირება. განსაკუთრებით ძალადობის მსხვერპლის გარდაცვალების შემთხვევაში, არ უნდა მოხდეს მისი „დასახიჩრებული სხეულის“ და ძალადობის ადგილის ჩვენება.

გარდაიმშემთხვევისათუაღნიშნულიმოვლენადაკავშირებულიასაჯარომოხელესთან დააქედანგამომდინარემაღალიასაზოგადოებრივიინტერესი.

მაუწყებელთაქცევისკოდექსი-პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

მუხლი36.სახელმძღვანელო

რეკომენდაციებიპირადიცხოვრებისხელშეუხებლობისუზრუნველყოფისათვის

6. მაუწყებელიგანსაკუთრებულისიფრთხილითუნდამოეკიდოსპირადიცხოვრებისხელშეუხებლობისუფლებას. მიზანშეწონილიარარისდაზარალებულის, გვამისაანდასახიჩრებულისხეულის, სისხლისადასხვამსგავსისცენებისჩვენებამნიშვნელოვანისარედაქციოდასაბუთებისგარეშე. მათიგადაღებაუნდამოხდესმხოლოდგარკვეულიმანძილიდან, რათაშეუძლებელიიყოსდაზარალებულისიდენტიფიცირება.

მუხლი 35. მაუწყებლის მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისთვის წაყენებული მოთხოვნები (წესები)

22. დაუშვებელიაგარდაცვლილიპირის, უბედურიშემთხვევისასდაზარალებულისანძალადობისმსხვერპლისიდენტიფიცირება, სანამფაქტიოჯახისწევრებისთვისარგახდებაცნობილი, გარდაიმშემთხვევისა, თუამგვარიინფორმაციისგავრცელებაგამართლებულიასაზოგადოებრივიინტერესით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი-პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

ექვმიტანილის/ბრალდებულის ახლობლების ვინაობა

- ექვმიტანილისა თუ ბრალდებულის ოჯახის წევრებისა თუ ახლობლების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცულია.

დანაშაულის მსხვერპლის ვინაობა

- *ჟურნალისტებმა, როგორც წესი, არ უნდა დაასახელონ დანაშაულის მსხვერპლის განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლის ვინაობა, რომელიც ცოცხალია.*

ზემოთ აღნიშნულზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ის წესები, რომლებიც მაუწყებელთა მხრიდან არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მიზნით არის შემუშავებული. ამ რეგულაციების საფუძველზე, მაუწყებელი ვალდებულია დაიცვას არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული მუხლი, არამედ, სამაუწყებლო ბადე ააგოს ყველა არსებული პუნქტის გათვალისწინებით. „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ მოიცავს რეგულაციებს 12 წლამდე, 15 წლამდე და 18 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის არასრულწლოვნების დასაცავად. ბავშვები არიან მაყურებელთა ყველაზე მაღალი რისკის შემცველი ნაწილი, რადგან მათი ასაკიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ამბავმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი ტრავმა მიაყენოს არასრულწლოვნის ჯანმრთელობას.

ძალადობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას მაუწყებელია ვალდებულია დაიცვას არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა თუ ის არის აღნიშნული ფაქტის მონაწილე. გარდა ამისა, 23 საათიან წყალგამყოფამდე ძალადობის ფაქტის გაშუქებისას, გადმოცემული მასალა არ უნდა შეიცავდეს ადვილად იმიტირებად ქმედებას, ასევე არ უნდა შეიცავდეს ძალადობის სცენის „არც ვიზუალურ და არც ვერბალურ აღწერას“. სიუჟეტი უნდა იყოს მნიშვნელოვნად შემოკლებული, ყოველგვარი სისხლიანი კადრებისა და ძალადობის მეთოდების ასახვის გარეშე.

თავი XI

არასრულწლოვანთადაცვა

მუხლი 39. სექსუალური, გაუპატიურებისადასექსუალურიძალადობისსცენები

6. დაუშვებელი ასექსუალურის ცენის, აგრეთვე გაუპატიურებისან/დასექსუალური ძალადობის ცენის გრაფიკული გამოსახვა და გადაცემა, 06.00 საათიდან 24:00 საათამდე;

მუხლი 41. ძალადობა და სახიფათო ქმედება

1. ძალადობის ან მისი შედეგების ამსახველი კადრები, აგრეთვე ძალადობის, როგორც ვიზუალური, ისე ვერბალური აღწერის გადაცემა, უნდა იყოს ჯეროვნად რედაქტირებული 23:00 საათამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამართლებულია შესაბამისი კონტექსტით.

2. დაუშვებელი არასრულწლოვანის მიერ იოლად იმიტირებადი ძალადობრივი ან სახიფათო ქმედების გადაცემა:

ა) საბავშვო პროგრამებში;

ბ) 23:00 საათიან წყალგამყოფამდე, თუ ამის მნიშვნელოვანი სარედაქციო და საბუთებთა არარსებობს.

მუხლი 45. სამაუწყებლო პროგრამათა კატეგორიების განმსაზღვრელი კრიტერიუმები

6. 18 წლამდე არასრულწლოვანებისთვის შეუფერებლად ჩაითვლება სამაუწყებლო პროგრამა თუ ის შეიცავს:

ა) სქესობრივიაქტის ან სექსუალური ძალადობის ამსახველ გრაფიკულს ცენებს;

ბ) ძალადობის ამსახველს ცენებს სახლო ხედიდან 15 წამზე მეტი ხნით (გარდა შემეცნებით-საგანმანათლებლო, ისტორიული, ფანტასტიკური ან კომედიური ან რის პროგრამებისა);

არსებობს შემთხვევები, როდესაც მაუწყებლები ძალადობისა თუ სხვა ანტი სოციალური ფაქტების შემთხვევებს მაყურებელთა „მისაზიდად“ იყენებს, რასაც

ისინი ახერხებენ სიუჟეტში ძალადობის ადგილის, შედეგის, ძალადობის იარაღისა თუ სისხლიანი დეტალების ჩვენებით. ამ ქმედებით მაუწყებელი არღვევს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მუხლს, რომელიც ითვალისწინებს მაყურებელთა დაცვას „პოტენციური ზიანისა და შეურაცხყოფისაგან. მაყურებელთა ინდივიდუალური ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ტელეკომპანიამ წინასწარ განსაზღვროს კონკრეტული ადამიანების რეაქცია ამა თუ იმ კადრის ხილვისა თუ ამბის გაგების დროს. აქედან გამომდინარე, ა მაუწყებელმა თანაბრად უნდა იზრუნოს მაყურებელთა ყველა კატეგორიაზე და თავად დაიცვას ისინი იმ შესაძლო ტრამვისა თუ ზიანისგან, რაც მათ ახალმა ამბავმა შეიძლება მოუტანოს. კერძოდ, არ ასახოს სიუჟეტში ძალადობის სადისტური მეთოდები და სცენები, დაჭრილთა ტანჯვის ამსახველი სცენები, უსაფრთხოდ მიჩნეულ ადგილებში მომხდარი ძალადობის ფაქტები და ა.შ.

მუხლი 55.

მაუწყებლის მიერ მავნე და შეურაცხმყოფელი მასალისგან დაცვის უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები (წესები)

- 6. მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელიც ამართლებს ან იწონებს ძალადობრივ, სახიფათო ან ანტი-სოციალურ ქმედებას და შეიძლება წაახალისოს სხვები მსგავსი ქმედებისკენ.*

მუხლი

56.

სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ პოტენციური ზიანისა და შეურაცხყოფისაგან დაცვის შესახებ

- 3. ახალ ამბებში ძალადობის ამსახველი კადრების გამოყენება ზეგადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მათი ინფორმაციული ღირებულებისა და გასაშუქებელი მოვლენის ადმიმათი მნიშვნელობის, აგრეთვე აუდიტორიის სავარაუდო რეაქციის გათვალისწინებით.*

4. რეპორტაჟიარუნდაშიცავდესგვამებისანდაჭრილთატანჯვისამსახველ

15

წამზემეტისანგრძლივობის

კადრებს.

ამბისგადმოსაცემადშიძლებასაჭიროგახდესგარდაცვლილთამორიხედიტრენება,
ახლოხედებისგამოყენებათავიდანუნდაიქნასაცილებული,
გარდასაზოგადოებისინტერესისარსებობისშემთხვევისა.

5. დაუშვებელიაძალადობისსენსაციადგადაქცევა.

შესაძლებელიასაჭიროიყოსშოკისმომგვრელიმასალისგამოყენება,
მაგრამესგადაწყვეტილებაძალზეფრთხილიანალიზისშემდეგუნდაიქნასმიღებული.

6. ძალადობისგამუქებაზეგადაწყვეტილებისმიღებისასგათვალისწინებულიუნდაიყოსფაქტ
ორები,

რომელთაერთობლიობამაცშიძლებააუდიტორიაზეძალადობისემოციურიზემოქმედებისხ
არისხიგაზარდოს:

ა) საყოფაცხოვრებონიადაგზეჩადენილიძალადობა: ოჯახურიძალადობა,
გასართობდაწესებულებებსადაკვებისობიექტებშიმომხდარიძალადობა, ხულიგნობა,
საგზაოშემთხვევებისშედეგადდაპირისპირებადაყაჩაღობა.

ბ) ძალადობაუსაფრთხოდმიჩნეულადგილებში: სახლში, საავადმყოფოშიდასკოლებში.

გ) ტკივილის, ზიანისმიყენებისანმკვლელობისუჩვეულოანსადისტურიმეთოდები.

დ) შემთხვევები, სადაცდაზარალებულნიმოხუცები,
შეზღუდულიშესაძლებლობებისპირები, ქალებიანბავშვებიარიან.

ე) ვერბალურიდაარავერბალური აგრესია;

ვ) ძალადობაზე, განსაკუთრებითბავშვებისძალადობაზეხვებისრეაქციისასახვა.

7. დაუშვებელიასექსუალურიდანებისმიერისხვაძალადობისმისაღებადწარმოჩენა.

ძალადობის საკითხებზე მუშაობისას მნიშვნელოვანია ისიც, რომ მაუწყებელი ყოველი ასეთი ფაქტის გამუქებისას ხაზს უსვამდეს მის ანტისოციალურ ბუნებას და

წარმოაჩენდეს დანაშაულის კონტექსტში. იგივე შინაარსს ატარებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსში ჩადებული მე-9 მუხლი - დანაშაული და ანტისაზოგადოებრივი ქმედება:

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი

9. დანაშაული და ანტისაზოგადოებრივი ქმედება

დანაშაულის გაშუქებისას:

- *გაითვალისწინეთ დანაშაულის, განსაკუთრებით, ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულის შესახებ რეპორტაჟის გადაცემის დრო და მისი შესაძლო გავლენა აუდიტორიის სავარაუდო შემადგენლობაზე (ბავშვები);*
- *არ ასახოთ ისეთი დეტალები, რომელთა გამეორებაც ადვილია;*

მძიმე დანაშაულის გაშუქებისას ეთიკურ სტანდარტებს სცილდება:

- უმწეო მსხვერპლის, გვამებისა და დასახიჩრებული ადამიანების, სხვ. ჩვენება. მსგავსი სცენები გადაიღეთ გარკვეული დისტანციიდან, რათა შეუძლებელი იყო მსხვერპლის ამოცნობა;
- ისეთი დეტალების ჩვენება, რომლის მიხედვითაც შეიძლება მსხვერპლის ვინაობის ამოცნობა (მაგ. საცხოვრებელი სახლის).

გარდა მაუწყებელთა ქცევის კოდექსებში არსებული ზემოთ მოყვანილი მუხლებისა, ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსში (ქარტია) არსებობს მუხლი, რომელიც უშუალოდ ჟურნალისტებს სთხოვს პატივი სცენ და დაიცვან ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით სამართალდარღვევის და უბედური შემთხვევების დროს:

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

6. ადამიანის უფლებების პატივისცემა

6.1 *ჟურნალისტმასიფრთხილუნდაგამოიჩინოსამართალდარღვევის, ანუბედურფაქტებთანდაკავშირებულმოვლენებისაღწერისას.ისუნდაეცადოს, თავისისაქციელითსაფრთხეშიარჩაადოსადამიანთასიცოცხლე. ასეთიმოვლენებისაღწერისას, გაუმართლებელიადაზარალებულის, ეჭვიტანილისანმათინათესავებისვინაობისდასახელებაანსეთინფორმატიულიმასალისგამოქვეყნება, რაცაშკარად, ამპირთაიდენტიფიკაციისსაშუალებასიძლევა. იმისათვის, რომსაზოგადოებაგაერკვესმოვლენაშივინაობისიდენტიფიცირებაარარისაუცილებელი. ესწესიშეიძლებადაირღვესმხოლოდისეთიგარემოებებისას, როდესაცდაზარალებულიანეჭვიტანილიცნობილიპიროვნებაა(თანამდებობისპირი, საზოგადომოდვაწედასხვა), რაცმოვლენასფართოსაზოგადოებრივინტერესსუკავშირებს.*

სწორედ აქ წარმოდგენილ რეგულაციებზე დაყრდნობით არის დამუშავებული 2014 წელს გაშუქებული ძალადობის ფაქტების კვლევა და ანალიზი, რომელიც ნაშრომის მეორე ნაწილშია წარმოდგენილი.

თავი 2.

კვლევის მეთოდოლოგია

ქვემოთ წარმოდგენილი კვლევისთვის შეირჩა 2014 წელს მომხდარი ყველაზე გახმაურებული და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი 6 ძალადობის ფაქტი და საქართველოს 3 მთავარი ტელე-არხი: რუსთავი 2, ტელეკომპანია იმედი და საზოგადოებრივი მაუწყებელი. აღნიშნული ტელე-არხების შერჩევა მოხდა დაფავის ზონისა და მაყურებელთა რიცხვის მაღალი მაჩვენებლებიდან გამომდინარე. მონიტორინგი მოიცავდა მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებში გასულ რეპორტაჟებს. კვლევის პროცესში მოხდა 18 რეპორტაჟის გახილვა. კვლევისათვის შერჩეული 6 ფაქტის გაშუქება მოხდა სამივე კვლევის ობიექტი ტელევიზიის მიერ. აქედან გამომდინარე ტელე-არხების მიხედვით შესწავლილია სულ 6-6 რეპოსტაჟი. ცხრილში (ცხრილი NI) წარმოდგენილია ყველა საკვლევი ფაქტის შინაარსი, თარიღი, ტელეარხი, საინფორმაციო გადაცემის სახელი და რეპორტაჟის ხანგრძლივობა.

ძალადობის ფაქტი	შინაარსი	თარიღი	ტელე-	საინფორმაციო	რეპორტაჟის
-----------------	----------	--------	-------	--------------	------------

			არხი	გადაცემის სახელი	ხანგრძლ.
1. „საზარელი მკვლელობა გურიაში“	ექვიანობის ნიადაგზე ქმარმა ცოლი ჯერ ნაჯახით მოკლა, შემდეგ კი სახლთან ერთად დაწვა	02.10.2014	1.რუსთავი2 2. იმედი 3.საზოგად. მაუწყებელი	1. კურიერი 18:00 საათზე 2. ქრონიკა 20:00 საათზე 3.მომბე 12:00 საათზე	1:05 წმ 00:49 წმ 2:23 წმ
2. „მკვლელობა ქობულეთის რაიონში“	ქმარმა ფეხმძიმე ცოლს შელაპარაკების ნიადაგზე 8 შვილის წინ ყელი გამოჭრა და მიიმალა	22.05.2014	1.რუსთავი2 2. იმედი 3.საზოგად. მაუწყებელი	1. კურიერი 15:00 საათზე 2.ქრონიკა 17:00 საათზე 3.მომბე 17:00 საათზე	1:14 წმ 00:38 წმ 1:50 წმ
3. „მკვლელობა თელავის რაიონში“	ქმარმა ცოლს დანით გულმკერდის არეში ჭრილობა მიაყენა და გაიქცა	17.12.2014	1.რუსთავი2 2. იმედი 3.საზოგად. მაუწყებელი	1. კურიერი 15:00 საათზე 2.ქრონიკა 17:00საათზე 3.მომბე 20:00 საათზე	00:56 წმ 00:29 წმ 00:34 წმ
4. „არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევა დედოფლისწყაროში“	დედოფლისწყარ ოში 14 წლის გოგონა საკუთარი სახლიდან მოიტაცეს და მასზე სექსუალურად იძალადეს	08.10.2014	1.რუსთავი2 2. იმედი 3.საზოგად. მაუწყებელი	1. კურიერი 15:00საათზე 2.ქრონიკა 17:00 საათზე 3.მომბე 10:00 საათზე	1:25 წმ 00:58 წმ 1:23 წმ
5. „არასრულწლოვანზე ძალადობის	მარნეულის რაიონში 51 წლის მამაკაცმა	20.03.2014	1.რუსთავი2 2. იმედი	1. კურიერი 21:00საათზე	2:25 წმ 02:00 წმ

შემთხვევა მარნეულში“	17 წლის გოგონაზე იძალადა და წამებით მოკლა		3.საზოგად. მაუწყებელი	2.ქრონიკა 20:00 საათზე 3.მოამბე 16:00 საათზე	01:41წმ
6. „ორსულზე ძალადობის შემთხვევა კახეთში“	ქმარმა 8 თვის ორსული ცოლი 13წლის შვილის თვალწინ სცემა	29.102014	რუსთავი2	კურიერი 21:00 საათზე	2:23 წმ

ცხრილი N1

მონიტორინგის შედეგები

ზოგადი მიმოხილვა

მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველა განხილული სიუჟეტი შეიცავს კოდექსებით გათვალისწინებული წესების დარღვევას. გარკვეულ შემთხვევებში ეს დარღვევა მნიშვნელოვანი ხასიითისაა. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ხარვეზებია კვლევის ობიექტი ყველა ტელე-არხის მიერ მომზადებულ რეპორტაჟში. გამოკვეთილი პრობლემების კლასიფიცირება ასე გამოიყურება:

1. ყველა რეპორტაჟი შეიცავს ცნობებს საცხოვრებელი ადგილის შესახებ (რაიონის, სოფლის, სახლის ამსახველ კადრებს) რაც ადვილად შესაძლებელს ხდის ძალადობის მსხვერპლისა თუ მოძალადის იდენტიფიცირებას.
2. არ არის დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რაც ამ შემთხვევაში რეპორტაჟში მოძალადის, მსხვერპლის თუ მათი არასრულწლოვანი შვილის(ების) იდენტიფიცირებით ირღვევა.
3. დეტალურად არის აღწერილი ძალადობის პროცესი, რომლის იმიტირება ადვილად არის შესაძლებელი.

4. რეპორტაჟები მოიცავს ძალადობის ადგილისა და ძალადობის იარაღის ამსახველ კადრებს (ნაჯახს, დანას, ციციხლის ლაქებს, დამწვარი გვამის ადგილს და სხვ.)
5. ყველა რეპორტაჟი განთავსებულია წყალგამყოფი ხაზის დარღვევით და არ არის დაცული არასრულწლოვანთა დაცვის წესები დაცული.
6. რამოდენიმე რეპორტაჟში წარმოდგენილია რესპონდენტის ჩანაწერი, რომელიც ამართლებს მოძალადეს და არ ხდება არც ბალანსის დაცვა და არც ფაქტის, როგორც ანტისაზოგადოებრივი ქმედების წარმოჩენა.

კონკრეტული დარღვევის ფაქტები ტელე-არხების რეპორტაჟების მიხედვით

რუსთავი 2 - კურიერი

ზემოთ აღნიშნული დარღვევებიდან თითქმის ყველას აქვს ადგილი რუსთავი 2-ის საინფორმაციო გამოშვებაში - კურიერში გასულ რეპორტაჟებში. მონიტორინგმა აჩვენა, რომ კურიერის ჟურნალისტები ასეთი ფაქტების გაშუქებისას ფაქტის გამწვავების ტერმინოლოგიას და ძალადობის სისასტიკის აღმნიშვნელ ფრაზებს ისეთს, როგორცაა: „საზარელი, შემამწუნებელი, „ყელი გამოჭრა“, „თავში ნაჯახი ჩაარტყა“ „ჭრილობა დანით გულმკერდის არეში მიაყენა“ „ორსული ცოლი დალურჯებამდე სცემა“ , „14 წლის გოგონა გააუპატიურა“ და ა.შ.

კურიერში გასული ყველა სიუჟეტი, რომელიც ძალადობის ფაქტს ეხება იხსნება ცივი იარაღის ფოტოთი (ნაჯახი, დანა, ცეცხლსასროლი იარაღი) დადანაშაულის აღმნიშვნელი ნიშნებით (ყვითელი ლენტი, ხელბორკილი) რაც თავიდანვე იწვევს მაყურებლისთვის ფსიქოლოგიური ზიანის მიყენებას. განსაკუთრებით კი დღის მონაკვეთში, როდესაც ტელეეკრანებთან უმეტეს შემთხვევაში ბავშვებიც იმყოფებიან. განსაკუთრებით ბევრი დარღვევა გამოიკვეთა შემდეგი 4 შემთხვევის გაშუქებისას:

1. „მკვლელობა ქობულეთის რაიონში“ - ხდება როგორც საცხოვრებელი ადგილის, ასევე მოძალადის, გარდაცვლილი მსხვერპლის, მეზობლებისა და თვითმხილველების იდენტიფიცირება(სახელი, გვარი, ასაკი). ამ ქმედებით ირღვევა 8 არასრულწლოვანის (შვილები) ზიანისგან დაცვის უფლება.
2. „მკვლელობა თელავის რაიონში“ - ზემოთაღნიშნულ სხვა დარღვევებთან ერთად აქ ჩნდება კიდევ ერთი, კერძოდ, სიუჟეტში ჩაწერილია მხოლოდ ერთი რესპონდენტი, რომელიც ამართლებს დამნაშავეს და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებს გარდაცვლილს. არც კურიერის წამყვანი და არც ჟურნალისტი ხაზს არ უსვამს ფაქტის ანტისაზოგადოებრივ ხასიათს და არ წარმოაჩენს, როგორც დანაშაულს.
3. „არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევა მარნეულში“ - აღნიშნული რეპორტაჟი არ აკმაყოფილებს კოდექსით გათვალისწინებულ არცერთ რეგულაციას. დარღვეულია როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ასევე არასრულწლოვანთა დაცვის უფლება და მაცურებლის ზიანისგან დაცვის უფლებაც. რეპორტაჟი დეტალურად აღწერს არასრულწლოვანზე სექსუალური ძალადობის და შემდეგ მისი მკვლელობის ფაქტს. ხდება როგორც მსხვერპლის, ასევე მოძალადის იდენტიფიცირება. ასახული დანაშაულის ადგილის ამსახველი შემადრწუნებელი ფაქტები. ჩაწერილია გარდაცვლილის მამა და ბაბუა, ასევე მეზობლები, რომლებიც დანაშაულის განსაკუთრებით მძიმე დეტალებზე საუბრობენ.
4. „ორსულზე ძალადობის შემთხვევა კახეთში“ - აღნიშნული რეპორტაჟი მოიცავს 2:23 წამს და მთელი ამ დროის განმავლობაში კადრში ჩანს განსაკუთრებული სისასტიკით ნაცემი ორსული ქალი, რომელსაც სახე არ აქვს დაფარული. გარდა ამისა ჩაწერილია მისი არასრულწლოვანი შვილი (სახე დაფარულია). ხდება იდენტიფიცირება. გარდა ამისა, ჩაწერილია მხოლოდ ერთი რესპონდენტი(მეზობელი) რომელიც ამბობს: „ ჩემს ქმარს ვუთხარი ოჯახური საქმეამეთქი და არ ჩავერიოთ“. რეპორტაჟი არ იცავს მსხვერპლს

შემდეგი ძალადობისგან და ამყარებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპს ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი მაუწყებელი - მოამბე

რუსთავი 2-ზე არანაკლებ ბევრი დარღვევა გამოიკვეთა საზოგადოებრივ მაუწყებელზე, მოამბის ეთერში გასულ ყველა რეპორტაჟში. აღნიშნულ რეპორტაჟებში წამყვანის და ჟურნალისტის ტონი და ამბის გადმოცემის სტილი მეტყველებს ფაქტისთვის სიმწვავის მინიჭების სურვილზე. ყველა სიუჟეტი განთავსებულია წყალგამყოფი ზოლის დარღვევით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც მონიტორინგმა აჩვენა, ძალადობის ფაქტების გაშუქებისას რეპორტაჟის ხანგრძლივობით უმეტეს შემთხვევაში სწორედ მოამბე გამოირჩევა. განსაკუთრებით ბევრი დარღვევა იკვეთება 2 შემთხვევაში, რომელთაგან ორივე არასრულწლოვანზე ძალადობის თემას ეხება:

1. „არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევა დედოფლისწყაროში“ - გარდა იმისა, რომ რეპორტაჟში ხდება საცხოვრებელი ადგილის (რაიონი, სოფელი, სახლი) იდენტიფიცირება, ჩაწერილია დაზარალებულის მამა (სახე დაფარულია) და სიღნაღის პროკურორი, ხაზი აქვს გასმული მოძალადის დაზარალებულთან ნათესაურ კავშირს. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ მარტივი შესაძლებელია ძალადობის მსხვერპლის ვინაობის დადგენა, რომელიც არის არასრულწლოვანი და თან ცოცხალია, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მაუწყებლის მიერ კოდექსის დარღვევის ფაქტს. ამასთანავე,

- შესამჩნევია ის გარემოება, რომ მოამბის წამყვანი ასახელებს გოგონას ეთნიკურ წარმომავლობას, რასაც ამ შემთხვევაში არავითარი კავშირი არ აქვს აღნიშნულ ფაქტთან, მისი გაშუქებით კი მაუწყებელი არღვევს კიდევ ერთ მუხლს მრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებით.
2. „არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევა მარნეულში“ - ისევე როგორც რუსთავი 2, ამ შემთხვევის გაშუქებისას საზოგადოებრივი მაუწყებელიც არღვევს საკითხზე არსებულ ყველა რეგულაციას იმ განსხვავებით, რომ ამშემთხვევაში არ სახელდება მსხვერპლისა და მოძალადის სახელი და გვარი. რეპორტაჟი გრძელდება 1:41 წამი და მთელი ეს დრო ეთმობა დანაშაულის ადგილის კადრებს (სისხლის ლაქები, გარდაცვლილი გოგონას ცხედრის დაწვის ადგილის ამსახველი კადრები, გამოყენებული იარაღები და ა.შ.) და მეზობლების ინტერვიუებს. აღნიშნული რეპორტაჟი ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებს არა მხოლოდ ბავშვებს (რომელთა უფლებაც ირღვევა ამ რეპორტაჟის 16:00 საათზე არარედაქტირებული სახით გაშუქებისას), არამედ ზრდასრულ მაყურებელსაც.

ტელეკომპანია იმედი - ქრონიკა

როგორც აღმოჩნდა, კვლევის ობიექტი სამი ტელე-არხიდან ტელეკომპანია იმედი ძალადობის საკითხების გაშუქებისას ყველაზე მეტად ცდილობს კოდექსით გათვალისწინებული წესების დაცვას. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაშუქება სრულლად აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს. დანარჩენ ორ ტელე-არხის საინფორმაციო გამოშვებასთან შედარებით, ქრონიკაში ძალადობის შემთხვევების გაშუქებას გაცილებით მცირე დრო ეთმობა - საშუალოდ 00:40 წამი. რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია, როდესაც გადაცემა წყალგამყოფ ხაზს არღვევს. ამ

შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქრონიკაში ძალადობის შემთხვევებს ჯეროვნად რედაქტირებული სახით აშუქებენ და უფრო მეტად იცავენ მაყურებელ ფსიქოლოგიური ზიანისგან, ვიდრე ამას სხვა საინფორმაციოები აკეთებენ. მთავარი დარღვევა იმედის შემთხვევაში არის საცხოვრებელი ადგილის იდენტიფიცირება. არ ხდება ფაქტის კიდევ უფრო გამამწვავებელი ტერმინოლოგიის გამოყენება. განსაკუთრებით ბევრი დარღვევა გამოიკვეთა მხოლოდ ერთ რეპორტაჟში, რომელიც არასრულწლოვანზე ძალადობას ეხება:

1. „არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევა მარნეულში“ - ამ შემთხვევაში მეორდება ყველა ის დარღვევა, რომელიც აღინიშნა იგივე ფაქტის სხვა საინფორმაციო გამოშვებებში (კურიერი, მოამბე) გაშუქებისას. ხდება ფაქტის დეტალური აღწერა, საცხოვრებლის, დანაშაულის ადგილისა და დანაშაულის იარაღის იდენტიფიცირება. ჩაწერილია გარდაცვლილის მამა და მეზობლები (მითითებულია სახელი და გვარი). თუმცა, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს კიდევ ერთ სერიოზულ დარღვევას, რომელიც ზემოთ არ ყოფილა. ეს არის გარდაცვლილი არასრულწლოვანის ფოტო, რომელიც რეპორტაჟში 00:6 წამი ჩანს.

დასკვნა

ზემოთ წარმოდგენილმა კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ძალადობის შესახებ მაუწყებელთა კოდექსებში ჩადებული მუხლები თითქმის საერთოდ არ სრულდება. საინფორმაციო გამოშვებები ცდილობენ აღნიშნული ფაქტების მწვავე გაშუქებით მაყურებელთა ყურადღება მოიპოვონ, ამ პროცესში კი სრულიად უგულვებელყოფილია როგორც მაყურებლის, ასევე მსხვერპლის/მოძალადის უფლებები.

მნიშვნელოვანია ამ კუთხით როგორც მონიტორინგის, ასევე ჟურნალისტთა გადამზადების პროგრამების შემუშავება. ეს პროცესი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გაშუქების გაუმჯობესებისათვის, არამედ ჟურნალისტთა მგრძობელობის /პასუხისმგებლობის გაზრდისა და მსგავსი პრობლემების სწორი კუთხით წარმოჩენისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, უგულვებელყოფილია როგორც კოდექსით გათვალისწინებული რეგულაციები, ასევე საზოგადოებაში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემის სწორი გაშუქებაც, რაც თავისთავად ხელს უწყობს არა სტერეოტიპების აღმოფხვრასა და დამოკიდებულების ცვლილებას, არამე მათ კიდევ უფრო გამყარებას.

ბიბლიოგრაფია

1. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2014 წელი
 - **მუხლი 34.** პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი
 - **მუხლი 35.** მაუწყებლის მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები (წესები)
 - **მუხლი 39.** სექსუალური, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სცენები
 - **მუხლი 41.** ძალადობა და სახიფათო ქმედება
 - **მუხლი 45.** სამაუწყებლო პროგრამათა კატეგორიების განმსაზღვრელი კრიტერიუმები
 - **მუხლი 55.**
მაუწყებლის მიერ მავნე და შეურაცხყოფელი მასალის განდაცვის უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები (წესები)
 - **მუხლი 56.** სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ პოტენციური ზიანისა და შეურაცხყოფის აგანდაცვის შესახებ
2. საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი, 2006 წელი
 - **მუხლი 6 -** პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა
 - **მუხლი 9 -** დანაშაული და ანტისაზოგადოებრივი ქმედება

3. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2001 წელი
- **მუხლი 6** - ადამიანის უფლებების პატივისცემა
4. რეპორტაჟი 1- „საზარელი მკვლელობა გურიაში“
- იმედი - <http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=38137>
 - რუსთავი 2-<http://rustavi2.com/ka/news/468-guriashi-qmarma-meughle-najakhit-mokla>
 - საზოგადოებრივი მაუწყებელი - <http://1tv.ge/ge/news/view/title/77409.html>
5. რეპორტაჟი 2 – „მკვლელობა ქობულეთის რაიონში“
- რუსთავი2-http://web.rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=51322&pg=1&im=main&ct=5&wth=0
 - იმედი - <http://www.imedi.ge/index.php?pg=nws&id=30880&ct=16>
 - საზოგადოებრივი მაუწყებელი-<http://1tv.ge/ge/news/view/title/69613.html>
6. რეპორტაჟი 3 – „მკვლელობა თელავის რაიონში“
- რუსთავი2 - <http://rustavi2.com/ka/news/5740>
 - იმედი - <http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=41986>
 - საზოგადოებრივი მაუწყებელი - <http://1tv.ge/ge/news/view/82212.html>
7. რეპორტაჟი 4 – „არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევა დედოფლისწყაროში“
- რუსთავი 2 - <http://rustavi2.com/ka/news/774>
 - საზოგადოებრივი მაუწყებელი - <http://1tv.ge/ge/news/view/title/77728.html>
 - იმედი - <http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=38899>
8. რეპორტაჟი 5 – „არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევა მარნეულში“

- იმედი - http://www.imeri.ge/index.php?pg=shs&id_pr=1566&id=20
- საზოგადოებრივი მაუწყებელი - <http://old.1tv.ge/news-view/65732>
- რუსთავი 2 http://www.myvideo.ge/?CI=1&ci_c=video&ci_m=embed&id=TLsfeE6pp5o

9. რეპორტაჟი 6 – „ორსულზე ძალადობის შემთხვევა კახეთში“

- საზოგადოებრივი მაუწყებელი - <http://1tv.ge/ge/news/view/25698.html>
- რუსთავი 2 - <http://rustavi2.com/ka/news/1392>